

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა

„პროფესიული განათლება სკოლაში“

VETinSCHOOL

#1. პროგრამის მიზნები

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მასშტაბურ ინიციატივას წარმოადგენს, რომელიც პროფესიულ და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის პირველ სისტემური ინტერვენციაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

იმის გათვალისწინებით, რომ (1) ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურებზე სუსტად არის განვითარებული კარიერის მართვის (პროფესიული ორიენტაცია) სერვისები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდებში გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღებაზე, (2) საზოგადოებაში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს პროფესიული განათლების პრესტიჟი (რაც მეტწილად პროფესიული განათლების შესახებ დაბალი ინფორმირებულობით არის გამოწვეული) და ამასთან, (3) ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობის/არ არსებობის გამო არსებობს მნიშვნელოვანი ჩავარდნა განათლების საფეხურებს შორის (რაც უარყოფითად აისახება განათლების უწყვეტობის ხელშეწყობაზე), 2017 წლის მეორე ნახევარში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაიწყო „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის“ განხორციელება, რომელიც ორიენტირებულია ერთდროულად ყველა ზემოთხსენებულ გამოწვევასთან გამკლავებაზე.

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ერთგვარ წინაპირობას „მოსწავლეთა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები“ წარმოადგენდა, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით 2017 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა და პროგრამის ერთგვარ პილოტირებას წარმოადგენდა.

დასახელებული პროგრამის წარმატებული პილოტირების შემდეგ, 2017 წელსვე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, კერძოდ, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა დაიწყო პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის დანერგვა და სამინისტროს სახელით განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ WSD პროგრამა ცალსახად კარიერის მართვის/პროფესიული ორიენტაციის ხასიათისაა, ის ქვეყანაში ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის პირველ მასშტაბურ პრეცედენტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში, ორივე საფეხურის დაწესებულებები ერთობლივად მუშაობენ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი სერვისების

შეთავაზებაზე. გარდა აღნიშნულისა, WSD პროგრამა ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული:



კარიერის მართვის სერვისების დანერგვა - იმ პირობებში, როცა ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე არ არსებობს ან ნაკლებად არის განვითარებული კარიერის მართვის სერვისები, პროგრამის ძირეულ მიზანს სწორედ მოსწავლეებისთვის პროფესიის არჩევის პროცესში დახმარების გაწევა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნისთვის, მოსწავლეები 2 ან 3 თვიან კურსებს გადიან სხვადასხვა

პროფესიაში, რათა გამოსცადონ საკუთარი ძალები და მიიღონ გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილება. კურსის შინაარსობრივი მხარე წინასწარ განსაზღვრული და სტანდარტიზებულია და ის ითვალისწინებს კარიერის მართვის საერთაშორისო ასოციაციის (NCDA) ძირეულ სტანდარტებს;

მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა - პროგრამის მეთოლოგიური კომპონენტი მოიაზრებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტების ბალანსირებას, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მიიღონ პროფესიისთვის რელევანტური საწყისი თეორიული ცოდნა და განვითარონ საბაზო პროფესიული უნარები, რაც მათ გამოადგებათ როგორც სამომავლო კარიერაში, ასევე ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში;

საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების თანამშრომლობის ხელშეწყობა - WSD პროგრამა ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის პირველ სისტემურ შემთხვევას წარმოადგენს, რაც ყოველთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან გამოწვევას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში (განათლების საფეხურებს შორის ნაკლები კომუნიკაცია). პროგრამა ორივე ტიპის დაწესებულებას საშუალებას აძლევს არათუ დაამყარონ ერთმანეთთან კომუნიკაცია, არამედ ერთობლივად შეიმუშაონ და განახორციელონ კურსები, რაც ურთოერთგაცნობის შესაძლებლობას იძლევა;

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა - ფრაგმენტული და მოკლევადიან PR აქტივობებისგან განსხვავებით, WSD პროგრამა პროფესიული განათლების სიღრმისეულად გაცნობის შესაძლებლობას აძლევს როგორც უშუალო ბენეფიციარებს (სკოლის მოსწავლეებს), ასევე სკოლის თანამშრომლებსა და მოსწავლეთა მშობლებს. პროფესიული განათლების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად მოსწავლეებს აქვთ არაუმეტეს 2.5 თვე, რაც სრულიად საკმარისია გააზრებული ცოდნის მისაღებად;

განათლების უწყვეტობის ხელშეწყობა და შემდგომი განათლების მიღების სტიმულირება - იქიდან გამომდინარე, რომ სკოლების დაფინანსება მიზმივლია ვაუჭერულ სისტემაზე, მოსწავლეების გადინება პროფესიულ კოლეჯებში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მათთვის. ამის საპასუხოდ, პროგრამა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ განათლებას სასკოლო განათლების პარალელურად დაეუფლონ. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია საბაზოდან პროფესიულ განათლებაზე ტრანზიციის პროცესის გამარტივებაზე, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში;



საჯარო სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება - იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები მეტწილად შეზღუდულია, WSD პროგრამა იძლევა აღნიშნული გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას. სხვადასხვა პროფესიის WSD კურსების განსახორციელებლად სკოლების შენობაში იქმნება მცირე „პროფესიული ლაბორატორიები“, რომელთა გამოყენებაც სკოლას შეუძლია სხვადასხვა მიზნისთვის

(არამარტო პროგრამისთვის). აღნიშნული ლაბორატორიები სკოლას ეხმარება როგორც სასკოლო მიზნების მიღწევაში (მაგ. ელექტრობის ლაბორატორია ფიზიკის სწავლებაში), ასევე არაფორმალური აქტივობების განვითარების ხელშეწყობაში.

პროფესიულ განათლებაში ახალგაზრდა კადრების შემოდინების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში წახალისებულია წარმატებული კურსდამთავრებულის ჩართვა პროფესიული მასწავლებლის სტატუსით, რაც ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი მოტივაციაა წარმატებული სტუდენტისთვის, ხოლო მეორე მხრივ, იძლევა პროფესიულ განათლებაში ახალგაზრდა კადრების შემოდინებისა და მათი სათანადოდ მომზადების საჭიროებას (სტუდენტები მნიშვნელოვან გამოცდილებას იძენენ პროგრამაში სწავლებისას).

#2. პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის მიმართულება

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს:

▪ **პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო პროგრამა (#WSDcareer)** - პროფესიული უნარების საორიენტაციო კურსები გათვლილია საჯარო სკოლების მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის და მისი მიზანია პროფესიული მიმართულებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება და სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვის შესაძლებლობა სკოლის მოსწავლეებისთვის. საორიენტაციო პროგრამა ცალსახად კარიერის მართვის, ე.წ. “პროფესიული ორიენტაციის” ხასიათის პროგრამას წარმოადგენს, რომელიც ზედმიწევნით მიჰყვება კარიერის მართვის საერთაშორისო ასოციაციის (NCDA) სტანდარტებს. საორიენტაციო კურსების განხორციელება 2017 წლიდან დაიწყო და მისი მასშტაბი წლიდან წლამდე იზრდება;

▪ **პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო პროგრამა (#WSDcertified)** - პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის პილოტირება 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში დაიწყო. ის გათვლილია საჯარო სკოლების მე-10-12 კლასის მოსწავლეებისთვის და მიზნად ისახავს არამარტო პროფესიის გაცნობას, არამედ პროფესიის ვიწრო მიმართულებისა თუ სპეციალიზაციის საფუძვლიან შესწავლას. აღნიშნული პროგრამის დამატების საჭიროება განათლების უწყვეტობის საჭიროებამ განაპირობა - მოსწავლე, რომელიც საორიენტაციო კურსზე აღმოაჩენს მისთვის სასურველ პროფესიას, შესაძლებლობა ეძლევა სკოლის პარალელურად შეუდგეს პროფესიის ვიწრო მიმართულებით სწავლას.



როგორც საორიენტაციო, ისე სასერტიფიკატო კურსები არაფორმალური განათლების კომპონენტებია. საორიენტაციო კურსის, პროფორიენტაციული ხასიათიდან გამომდინარე, ვერ იქნება ფორმალიზებული, ხოლო სასერტიფიკატო კურსების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება მოხდება არაფორმალური განათლების აღიარების წესის შემუშავებისთანავე. შედეგად, მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება იღიაროს სწავლის ის შედეგები, რომელსაც სასერტიფიკატო კურსის ფარგლებში მიღწევს.

▪ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება საჯარო სკოლის ბაზაზე (#VETinSCHOOL)** - 2020 წლიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად დაიწყებს საჯარო სკოლების ბაზაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წახალისებას, რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო სკოლები მოიპოვებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების სტატუსს. სტატუსის მოსაპოვებლად, სკოლა გარკვეულ გზას გადის საკუთარი შესაძლებლობების გასაძლიერებლად და გამოცდილების მისაღებად - თავდაპირველად ის ერთვება პროგრამაში და იწყებს საორიენტაციო კურსების განხორციელებას. ეფექტურობის შემთხვევაში, სკოლაში იწყება სასერტიფიკატო კურსების განხორციელება, რომლის წარმატების შემთხვევაში, სკოლას ეძლევა რეკომენდაცია პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ პროფესიული განათლების პროვაიდერი სკოლის არჩევა ასევე დამოკიდებულია პროფესიული

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდასთან დაკავშირებით სამინისტროს გრძელვადიან ხედვებთან.

▪ **ხელმისაწვდომი პროფესიული განათლება (#OpenVET)** - 2020 წლიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო პროგრამის ფარგლებში იწყებს ე.წ. ღია კარის დღეების პრაქტიკის ამოქმედებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, რაც ნიშნავს, სტანდარტიზებულ, ყველასთვის ხელმისაწვდომ და გამარტივებულ პროცესს. პროგრამის ფარგლებში, კოლეჯები და უნივერსიტეტების წელიწადში ორჯერ, გარკვეულ დროსა (სტუდენტთა რეგისტრაციამდე) და გარკვეული პერიოდით ღია იქნებიან საჯარო სკოლებისთვის, იგულისხმება როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე ფართო სასკოლო საზოგადოება (სკოლის მენეჯმენტი, მშობლები). კოლეჯები და უნივერსიტეტები შეიმუშავენ შემეცნებით და პროფორიენტაციული ხასიათის პროგრამას, რომლის მიზანია იქნება, ერთი მხრივ, პროფესიული განათლებისა და კოლეჯის/უნივერსიტეტის გაცნობა, ხოლო მეორე მხრივ სხვადასხვა პროფესიაში მოსწავლეებისთვის პროფესიაში საკუთარი ძალების შესაძლებლობების შეთავაზება. პროგრამის მხარდამჭერი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, წლის ნებისმიერ დროს საჯარო სკოლას შესაძლებლობა ექნება გაეცნოს სხვადასხვა კოლეჯის/უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამას და ელექტრონულად გამოთქვას სურვილი (დარეგისტრირდეს) კოლეჯში ვიზიტზე. ღია კარის დღეების პერიოდში კოლეჯი/უნივერსიტეტი ღია იქნება ყველა მსურველი საჯარო სკოლისთვის.

#3. პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის შინაარსობრივი მხარე

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ინიციატორი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება (კოლეჯი, უნივერსიტეტი), რომელიც კონკურსის გამოცხადებისას სამინისტროში წარმოადგენს განაცხადს პარტნიორ საჯარო სკოლასთან/სკოლებთან ერთად.



როგორც საორიენტაციო, ისე სასერტიფიკატო კურსების სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე მკაფიოდ სტანდარტიზებულია. ორივე შემთხვევაში, პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ჯგუფის მიერ შემუშავებულია კურსის შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმაცხადებელი როგორც განაცხადის წარმოდგენისას, ასევე კურსების განხორციელებისას. ორივე ტიპის კურსები 2.5-დან 3

თვემდეა, თუმცა განსხვავებული საათობრივი დატვირთვის.

პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსები შემდეგ მოთხოვნებს უყენებს განმახორციელებლებს:

- იქიდან გამომდინარე, რომ კურსები ცალსახად პროფესიული ორიენტაციის ხასიათისაა, კურსის შინაარსი უნდა მოიცავდეს პროფესიის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, რათა მისი დასრულების შემდეგ მოსწავლემ საფუძვლიანი ინფორმაცია მიიღოს პროფესიის ყველა ძირეული ასპექტის შესახებ და შეძლოს გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღება;
- საორიენტაციო კურსი უნდა ესადაგებოდეს NCDA-ს სტანდარტებს და გარდა პროფესიის ზოგადი შესწავლისა, აუცილებლად უნდა მოიცავდეს კარიერის მართვის შემდეგ ასპექტებს: (1) მოსწავლეებს ეხმარებოდეს საკური თავის შემეცნებასა და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლაში, (2) აწვდიდეს დეტალურ ინფორმაციას პროფესიის, მისთვის დამახასიათებელი სამუშაოების, პროფესიის დადებითი მხარეების და გამოწვევების შესახებ, (3) აწვდიდეს ინფორმაციას შრომის ბაზრის არსებული და სამომავლო განვითარების ტენდენციების შესახებ და (4) აწვდიდეს ინფორმაციას არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- კურსების ვადად განსაზღვრულია 2.5-დან 3 თვემდე, ხოლო საათობრივი მოცულობა 48 საათი. რეკომენდებულია, კურსები დაიგეგმოს კვირაში ორჯერ ორ-ორი საათით. პროფესიული უნარების განვითარების კურსები ხორციელდება დღის მეორე ნახევარში, სავალდებულო ზოგადი განათლების პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროფესიული უნარების განვითარების სასერტიფიკატო კურსები შემდეგ მოთხოვნებს უყენებს განმახორციელებლებს:

- სასერტიფიკატო კურსი ორიენტირებული უნდა იყოს პროფესიის ვიწრო სპეციალიზაციის, კონკრეტული სწავლის შედეგის, სხვადასხვა სწავლის შედეგების კომბინაციის შესწავლაზე. შედეგად, სასერტიფიკატო კურსი საორიენტაციოსგან განსხვავებით ორიენტირებულია არა

პროფესიის ზოგად გაცნობაზე, არამედ პროფესიის ვიწრო სპეციალიზაციის საფუძვლიან შესწავლაზე;

- სასერტიფიკატო კურსის შემუშავებისას (საორიენტაციოსგან განსხვავებით) წარმოდგენილი უნდა იყოს სწავლის შედეგები და მათი შეფასების საფუძვლები (მეთოდები, ინდიკატორები და კრიტერიუმები).

#4. პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის განხორციელების მიზანმიმართული

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და კოლეჯების/უნივერსიტეტების გეოგრაფიული განფენილობიდან გამომდინარე, პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სასერტიფიკატო პროგრამები სამი ტიპის მოდელით ხორციელდება:

- **კურსების განხორციელება კოლეჯის/უნივერსიტეტის ბაზაზე** - იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები (კოლეჯი, უნივერსიტეტი), პროფესიული უნარების განვითარების კურსები ხორციელდება მათ ბაზაზე. შედეგად, ამ დასახლებული პუნქტების სკოლის მოსწავლეები კურსებს გადიან კოლეჯში ან/და უნივერსიტეტში. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოდ დიდი ქალაქები, სადაც მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე, კოლეჯს ან/და უნივერსიტეტს არ აქვს დიდი რაოდენობის მოსწავლეების მიღების შესაძლებლობა. ამ ტიპის ქალაქებში გარდა კოლეჯის/უნივერსიტეტისა, კურსები ხორციელდება სტატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის მქონდე საჯარო სკოლებშიც;

- **“ჰაბი სკოლების” მოდელი** - აღნიშნული მოდელი პროგრამაში ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული და გულისხმობს, ახლომდებარე საჯარო სკოლებში სხვადასხვა პროფესიის კურსების განხორციელებას და მოსწავლეების ურთიერთგაცვლას. პირობითად, თუ დასახლებულ პუნქტში მდებარეობს ორი საჯარო სკოლა, თითოეულ მათგანში იწყება განსხვავებული პროფესიის კურსები, ხოლო ორივე სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ როგორც საკუთარ, ასევე მეზობელ სკოლაში მიმდინარე WSD კურსებით. აღნიშნული მოდელი ზოგავს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მრავალფეროვან საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. “ჰაბი სკოლის” მოდელში საჯარო სკოლა განიხილება ორი სტატუსით: (1) **პარტნიორი სკოლა** - რომლის ბაზაზეც მიმდინარეობს WSD კურსები, (2) **ბენეფიციარი სკოლა** - რომლის მოსწავლეებიც სარგებლობენ პარტნიორი საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული კურსებით. “ჰაბი სკოლის” მოდელი აუცილებლად მოიზარებს იმ დაშვებას, რომ კონკრეტული სკოლა შეიძლება ერთდროულად სარგებლობდეს როგორც პარტნიორი, ისე ბენეფიციარი სკოლის სტატუსით. კერძოდ, ერთ კონკრეტული პროფესია შეიძლება მიმდინარეობდეს სკოლის ბაზაზე, ხოლო მეორე პროფესია მეზობელი სკოლის ბაზაზე;

- **გეოგრაფიულად იზოლირებული სკოლის მოდელი** - ტერიტორიულად იზოლირებულ საჯარო სკოლებში, რომელსაც არ ესაზღვრება არც სხვა საჯარო სკოლა და არც კოლეჯი/უნივერსიტეტი, WSD კურსები მიმდინარეობს პროგრამაში არსებული პირველადი მოდელის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, შეზღუდულია განსახორციელებელი კურსების რაოდენობა.

#5. პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სასერტიფიკაციო კურსებში ჩართვის პირობები

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩართვის წინაპირობას წარმოადგენს საორიენტაციო (მე-8-9 კლასები) პროგრამაში ჩართვა, რომელიც სასერტიფიკაციო პროგრამის ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს.



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო წელიწადში ორჯერ აცხადებს მიღებას პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩასართავად. კონკურსი ცხადდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და მხარდამჭერ ფეისბუქის გვერდზე. განაცხადის წარმომდგენს მოეთხოვება შეავსოს წინასწარ შემუშავებული და

გასაჯაროებული განაცხადის სტრუქტურირებული ფორმა და ბიუჯეტის დანართი. განაცხადების შემუშავებისა და წარდგენის პროცესში განმცხადებელი მხარე (კოლეჯი/უნივერსიტეტი და საჯარო სკოლა) გადის შემდეგ ეტაპებს:

1. პარტნიორების მოძიება - იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ზოგადი და პროფესიული განათლების თანამშრომლობის საწყისებს ეფუძნება, საკონკურსო განაცხადის მომზადებისა და ზოგადად, პროგრამაში ჩართვის პირველ ნაბიჯს პარტნიორის მოძიება წარმოადგენს. საჯარო სკოლის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, ხოლო კოლეჯის/უნივერსიტეტის შემთხვევაში პარტნიორი საჯარო სკოლის ან სკოლების მოძიება. მიუხედავად იმისა, რომ მომზადებული საკონკურსო განაცხადი განიხილება პარტნიორი კოლეჯის/უნივერსიტეტისა და საჯარო სკოლის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგი, საკონკურსო განაცხადების განმცხადებელი კოლეჯი/უნივერსიტეტი.

2. მოსწავლეთა გამოკითხვა და სამიზნე პროფესიის იდენტიფიცირება - კოლეჯს/უნივერსიტეტსა და საჯარო სკოლას შორის თანამშრომლობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ პირველ ნაბიჯს მოსწავლეთა გამოკითხვა წარმოადგენს, რათა სკოლაში განხორციელდეს მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის სასურველი პროფესიის კურსები. აღნიშნული გამოკითხვა მომავალში მოხდება ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, რომელიც ამჟამად შემუშავების ფინალურ ეტაპზეა. როგორც სამინისტროს, ასევე პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრიორიტეტია კონკურსში წარმოადგინონ იმ პროფესიის კურსი, რომელიც ეხმიანება მოსწავლეთა პროფესიულ ინტერესებს, სხვა შემთხვევაში, მაღალია კურსის წარუმატებლობის რისკი.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის შემუშავება - კონკურსში მონაწილეობის მნიშვნელოვან ნაბიჯს საკონკურსო განაცხადების შემუშავება წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ორმხრივი თანამშრომლობის საწყისებს ეფუძნება, აღნიშნული დოკუმენტების მომზადების პროცესში ჩართული უნდა იყოს ორივე მხარე, როგორც კოლეჯი/უნივერსიტეტი, ასევე საჯარო სკოლა, რათა შემუშავებული დოკუმენტაცია მორგებული იყოს საჯარო სკოლების საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე. საკონკურსო დოკუმენტაციაში შედის განაცხადის ფორმა, დანართი (ბიუჯეტი), ფინანსური დოკუმენტაცია და საჯარო სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმი. განაცხადის ფორმა და დანართი წარმოადგენს

სამინისტროს მიერ სტანდარტიზებულ დოკუმენტაციას, რომელიც თან ახლავს საკონკურსო განაცხადების მიღების განცხადებას;

4. განაცხადების განხილვა - შემოსულ განაცხადებს განიხილავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია წინასწარ შემუშავებული სტანდარტიზებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. განხილვისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე კომისიას უფლება მიიღოს გადაწყვეტილება (1) პროექტის მოწონებისა და დაფინანსების შესახებ; (2) პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ; (3) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ; (4) პროექტის დაფინანსების შესახებ მოთხოვნილი ოდენობისგან განსხვავებული ოდენობით (დაწესებულების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში). კომისიის გადაწყვეტილება განმცხადებელ კოლეჯს/უნივერსიტეტს ეცნობება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით;

5. “VET LAB”-ების მოწყობა - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული დაფინანსებით საჯარო სკოლების ბაზაზე მიმდინარეობს ე.წ. “მცირე პროფესიული ლაბორატორიების” მოწყობა, რომელიც პროფესიის სპეციფიკის რელევანტურია. იმ შემთხვევაში, თუ კურსები მიმდინარეობს კოლეჯის/უნივერსიტეტის ბაზაზე, სამინისტრო უზრუნველყოფს მხოლოდ კურსების განხორციელებისთვის საჭირო მასალების/ხარჯვადი რესურსების შესყიდვას. შენიშვნა: კოლეჯი/უნივერსიტეტი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით არჩევს შესაბამისი პროფესიის კურსს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში არ მოიძებნება თავისუფალი ოთახი, მოსწავლეთა ინტერესის მიუხედავად არ განიხილება იმ პროფესიის კურსების განხორციელება, რომელიც საჭიროებს დამატებითი სივრცის მოწყობას ცალკე/დამოუკიდებელ ოთახში.



საორიენტაციო პროგრამაში ეფექტური ოპერირებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის გრძელვადიანი ხედვის გათვალისწინებით, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებზე დაფუძნებით სამინისტრო ახდებს იმ სკოლების იდენტიფიცირებას, სადაც რეკომენდებულია **სასერტიფიკატო კურსების** განხორციელება. სასერტიფიკატო კურსების განაცხადების მომზადება და საკონკურსო პირობები იდენტურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პროვაიდერთა ვინაობა წინასწარ არის ცნობილი (თუმცა, ისინი მაინც გადიან შერჩევის ეტაპს).

#6. პროფესიული უნარების განვითარების კურსების განხორციელების პროცესში ჩართული ადამიანური რესურსი

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის როგორც საორიენტაციო, ისე სასერტიფიკატო კურსების მთავარ მამოძრავებელ ძალას პროფესიული მასწავლებელი წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ უძღვება სასწავლო პროცესს. პროფესიული მასწავლებელი კურსის გაძღვლისას ხელმძღვანელობს WSD პროგრამის ჯგუფის მიერ შემუშავებული გზამკვლევითა და სახელმძღვანელო პრინციპებით.

გარდა პროფესიული მასწავლებლისა, WSD კურსების განხორციელებისთვის მოთხოვნილია აუცილებელი ადამიანური რესურსი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები და ანაზღაურების ზღვარი წინასწარ არის განსაზღვრული:

- 1. პროფესიული მასწავლებელი** - WSD კურსების (როგორც საორიენტაციო, ისე სასერტიფიკატო) წამყვან ძალას პროფესიული მასწავლებელი წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია კურსების გაძღვლაზე. აღნიშნულ პოზიციაზე კოლეჯს/უნივერსიტეტს შეუძლია წარადგინოს როგორც მოქმედი, ასევე მოწვეული პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა სისტემის მოდერნიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, წახალისებს პროგრამის ფარგლებში, პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე წარმატებული კურსდამთავრებულების ჩართვასაც;
- 2. პროექტის კოორდინატორი** - პროფესიული უნარების განვითარების ყველა პროექტს (იქნება ეს საორიენტაციო თუ სასერტიფიკატო) ჰყავს საკუთარი კოორდინატორი კოლეჯის/უნივერსიტეტის მხრიდან, რომლის ფუნქცია-მოვალეობები ასევე წინასწარ არის განსაზღვრული. ამასთან, კოლეჯს/უნივერსიტეტს ერთი და იგივე ადამიანი შეუძლია წარადგინოს მაქსიმუმ ხუთი პროექტის/კურსის კოორდინატორად;
- 3. სკოლის/დამხმარე მასწავლებელი** - საორიენტაციო კურსების შემთხვევაში, აუცილებელ ადამიანურ რესურსს წარმოადგენს სკოლის მასწავლებელი, რომელიც დახმარებას უწევს პროფესიულ მასწავლებელს. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის მასწავლებელი უკეთ ერკვევა მოსწავლეთა ინტერესებსა და მახასიათებლებში, მისი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად განხორციელებისთვის, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ამასთან, პროგრამის მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ სკოლის მასწავლებლები დროთა განმავლობაში თავად შეძლებენ კურსების გაძღვლას, ხოლო მასზე მიმაგრებული პროფესიული მასწავლებელი, როგორც ტუტორი, გადაინაცვლებს სხვა საჯარო სკოლაში. პროგრამის ფარგლებში სკოლის მასწავლებელი შეირჩევა სამიზნე პროფესიასთან რელევანტურობის გათვალისწინებით. მაგალითად, თუ სკოლაში იწყება WSD ელექტრობის კურსის განხორციელება, რეკომენდებულია სკოლის ფიზიკის მასწავლებლის ჩართულობა. იქიდან გამომდინარე, რომ სასერტიფიკატო პროგრამა უკვე პროფესიულ სწავლებას წარმოადგენს, მასში სკოლის მასწავლებლის ჩართულობა აღარ არის რელევანტური;
- 4. კარიერული კონსულტანტი** - საორიენტაციო კურსების შემთხვევაში, აუცილებელ ადამიანურ რესურსს შორის არის კოლეჯის/უნივერსიტეტის კარიერული კონსულტანტი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები და სახელმძღვანელო პრინციპები წინასწარ არის განსაზღვრული. კარიერული კონსულტანტი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს კარიერის მართვის კომპონენტის

განხორციელებას. იქიდან გამომდინარე, რომ სასერტიფიკატო პროგრამა აღარ არის პროფორიენტაციის ხასიათის, მასში კარიერული კონსულტანტის ჩართულობა აუცილებელი აღარ არის;

5. **კოორდინატორი სკოლის მხრიდან** - სკოლის კოორდინატორის პოზიცია დასაშვებია მხოლოდ WSD კურსების საჯარო სკოლების ბაზაზე განხორციელებისას და მხოლოდ ერთ შემთხვევაში: (ა) თუ პარტნიორ სკოლაში მოდიან ორი ან მეტი საჯარო სკოლის მოსწავლეები, და (ბ) თუ, ჯგუფების რაოდენობა აღემატება ორს;
6. **კურსების ადმინისტრირებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი** - კურსების ადმინისტრაციული სამუშაოების შესრულებისთვის მათი სპეციფიკის გათვალისწინებით საჭიროა ასევე ბუღალტრისა და შესყიდვების სპეციალისტის ჩართულობა, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები პროგრამის ფარგლებში ასევე წინასწარ არის განსაზღვრული;
7. **ხარისხის მართვის სპეციალისტი** - იქიდან გამომდინარე, რომ სასერტიფიკატო კურსებზე შემოდის შეფასების კომპონენტი, რეკომენდებულ ადამიანურ რესურს წარმოადგენს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას ისეთ სამუშაოებზე, როგორცაა: შეფასების მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების შემუშავება, შეფასების პროცესის ადმინისტრირება და ა.შ.;
8. **კურსის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ადამიანური რესურსი** - საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროექტში განისაზღვროს დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროება, მაგ: სპეციალური მასწავლებელი, ლაბორანტი და ა.შ.

#7. შეფასებისა და მხარდაჭერის პროცესი

2017 წლიდან 2018 წლის ბოლომდე პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი ხორციელდებოდა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. 2019 წლიდან აღნიშნული



კომპონენტი უკვე სამინისტროს შემადგენლობაში განხორციელდება იგივე ჯგუფის მიერ. პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგი სისტემური პროცესია, რომლის მთავარ მიზანსაც საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა და პროგრამაში გამოვლენილი გამოწვევების ერთობლივი ძალებით გამკლავება წარმოადგენს. თითოეული სემესტრის ფარგლებში შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი სამ ეტაპად ხორციელდება:

მოსწავლეთა პროგრამამდელი გამოკითხვა - აღნიშნული გამოკითხვა ტარდება პროგრამის დაწყებამდე ან პროგრამის დაწყებიდან პირველი ორი კვირის მანძილზე ელექტრონულ ფორმატში, რომლის ორგანიზებასაც საჯარო სკოლა და სახელდობრ, სკოლის დამხმარე მასწავლებელი ახორციელებს. გამოკითხვის მიზანი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვლევაა, რათა კურსი მაქსიმალურად მოერგოს მათ საჭიროებებს;

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი წინასწარი გაფრთხილების გარეშე სტუმრობს კურსებს და წინასწარ შემუშავებული, სტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმებით აფასებს საგაკვეთილო პროცესს. დაკვირვების საფუძველზე შეფასების ჯგუფი ამზადებს დაკვირვების ანგარიშს რეკომენდაციებით, რომლის მთავარი მიზანიც არა არსებული გამოწვევების აღრიცხვა, არამედ არსებული გამოწვევების საპასუხოდ კვალიფიციური და კოლეგიალური რეკომენდაციების მომზადება წარმოადგენს, რომელიც მიმართულია პროგრამის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე;

პროგრამის შემდგომი გამოკითხვა - პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს პროგრამამდელ გამოკითხვას ელექტრონულ ფორმატში, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები და პროფესიული და სკოლის მასწავლებლები. გამოკითხვის მიზანი პროგრამის შემდგომი განვითარება და დახვეწაა. სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სკოლა და შესაბამისი დამხმარე მასწავლებელია, ხოლო პროფესიული მასწავლებლების შემთხვევაში - კოლეჯი/უნივერსიტეტი.

პროგრამის შემდგომი თვისებრივი კვლევა - პროგრამის შემდგომი განვითარების, არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვის მიზნით ყოველი სემესტრის ბოლოს შეფასების ჯგუფი მართავს შეხვედრებს პროგრამაში ჩართულ ყველა მხარესთან. აღნიშნული მიზნით ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები იგეგმება მოსწავლეებთან, პროფესიულ და სკოლის მასწავლებლებთან, კარიერულ კონსულტანტებთან და კოლეჯის/უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციასთან.

#8. პროგრამის მდგრადობა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროგრამის ფარგლებში ამოქმედებული კურსების გაგრძელებას. შედეგად, 2017 წლიდან დღემდე დაწყებული 800-ზე მეტი კურსის აბსოლუტური უმრავლესობა გაგრძელდა შემდეგ სემესტრებში.

როგორც ზევით აღინიშნა, პროგრამაში მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ. აქედან, ერთ მიღებაზე მიმდინარეობს უკვე დაწყებული კურსების გაგრძელების განაცხადების განხილვა, ხოლო მეორე მიღებაზე, ახალი პროექტების მიღება. შედეგად, წლის განმავლობაში ყოველი მეორე მიღება ეთმობა წინა სემესტრებში დაწყებული კურსების გაგრძელებას. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში შემდეგი სემესტრისთვის არ შეიკრიბა ჯგუფი, სკოლა იღებს “ტაუმ-უატს” და ერთი სემესტრის გამოტოვებით კვლავ ბრუნდება პროგრამაში.

#9. პროგრამის მასშტაბი

2017 წლიდან 2019 წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით პროგრამაში ჩართულია საქართველოს ყველა რეგიონის 58 მუნიციპალიტეტის 440 საჯარო სკოლა (რომელთა ბაზაზეც მიმდინარეობს WSD კურსები). მთლიანობაში, პროფესიული უნარების განვითარების კურსებით სარგებლობს საქართველოს 560-ზე მეტი საჯარო სკოლის მე-8-12 კლასის მოსწავლე.

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია ყველა ქმედითი კერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება (კოლეჯი, უნივერსიტეტი). მთლიანობაში, დღემდე 50-ზე მეტი პროფესიის 700-ზე მეტი WSD საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსი 14.000-ზე მეტმა მოსწავლემ გაიარა და გადის მიმდინარე სემესტრში.

ფეისბუქის გვერდი: www.facebook.com/VETinSCHOOL

ელექტრონული ფოსტა: workskillsinschool@gmail.com

glomiashvili@mes.gov.ge

